ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2022 წლის 27 ოქტომბრის

სხდომის ოქმი №3

ქ. ახალციხე 2022 წელი, 27 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

ილია ზარდიაშვილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

რუბენ კარაპეტიანი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ვაჟა გაჩეჩილაძე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ბელა ავალიშვილი
2. ნუგზარ თათეშვილი
3. ვასილ კვინცხაძე
4. შალვა ტაბატაძე
5. ნონა ონიანი
6. აშოთ კავალერიან
7. გურამი ჯინჭველაძე
8. მაია გაჩეჩილაძე
9. ჯაბა ნათენაძე
10. ალექსანდრე ლომსაძე
11. მანუჩარ გოგოლაური
12. რომან მაისურაძე
13. მეგი თათეშვილი
14. ციური ლაფაჩი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ცირა მესხიშვილი
2. მერაბ ბერიძე
3. მაკა ბერიძე
4. ნინო რუხაძე
5. ამალია სარქისიან
6. ომარ ჯაყელი
7. ნიკოლოზ ხიზაძე
8. ბიჭიკო მოდებაძე
9. გიორგი ბუცხრიკიძე
10. ნინო ხაზალაშვილი
11. თამარ კაპანაძე
12. ნათია ტაბლიაშვილი
13. ნატალი სისვაძე

დღის წესრიგი

1. **2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;**
2. **მიმდინარე და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები;**
3. **2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტების გაცნობა;**
4. **საბჭოს წევრების რეკომენდაციები და მოსაზრებები;**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა და მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები შეაჯამა. აღნიშნა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 35, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 17, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 46, ხოლო მთისა და სტიქიის სალიკვიდაციო ფონდებიდან თითო-თითო პროექტი ხორციელდება. მათ შორის, გზების, სასმელი წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, ახალგაზრდული ცენტრების, საბავშვო ბაღების, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადებისა და სადარბაზოების, ამორტიზებული სახურავების, სპორტული მოედნებისა და სკვერების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მერმა აქცენტი გააკეთა საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და საბჭოს წევრებს, როგორც ქალაქ ახალციხეში, ისე მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე და განხორციელებული

მასშტაბური პროექტები გააცნო. 2022 წელს, ჯამში 16 კილომეტრამდე სიგრძის გზას უტარდება რეაბილიტაცია, განხორციელდა 7 მასშტაბური პროექტი, 14 სოფელში კი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ შიდა გზები წესრიგდება.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა: სოფელ წყრუთისა და წირის დამაკავშირებელ გზას (ასფალტის საფარი დაიგო გზის 1200 მეტრიან მონაკვეთზე), სოფელ ტყემლანის საავტომობილო გზას (ასფალტის საფარი დაიგო გზის 650 მეტრიან მონაკვეთზე), სოფელ თისელთან მისასვლელ საავტომობილო გზას (ასფალტის საფარი დაიგო გზის 2100 მეტრიან მონაკვეთზე), სოფელ წნისის შიდა საავტომობილო გზას (ასფალტის საფარი დაიგო გზის ნახევარ კილომეტრიან მონაკვეთზე), სოფელ გიორგიწმინდის შიდა საავტომობილო გზას (ბეტონის გზა მოეწყო 600 მეტრიან მონაკვეთზე).

გარდა ამისა, მიმდინარეობს სოფელ საძელისა და ყულალისის დამაკავშირებელი გზის 2 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, სოფელ ანდრიაწმინდის გზის 1200 მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი, ხოლო სოფელ ანის გზის 800 მეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაიგება.

რაც შეეხება, ქალაქ ახალციხეში მიმდინარე და განხორციელებულ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ესენია: საფარის ქუჩის მონაკვეთის, რუსთაველის ქ.№124-ისა და 9 აპრილის ქუჩების დამაკავშირებელი გზის, რაბათის დასახლებაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზისა და თამარაშვილის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

გვარამაძის ქუჩაზე, დასრულდა ე.წ „მლაშიხევის“ დახურული სანიაღვრე არხის სამშენებლო სამუშაოები, პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, მიმდინარე წელს, მე-3 დამამთავრებელი ეტაპის ფარგლებში, 108 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის არხი მოეწყო. შედეგად, მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლებისთვის წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მთლიანად მოგვარდა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. დაზიანებული და ამორტიზებული სახურავები შეიცვალა 6 სახლში. ინფრასტრუქტურული სამუშაოები რუსთაველის, ნათენაძის, იაძის, ივერიელის, ფარნავაზ მეფისა და ქეთევან დედოფლის ქუჩებზე განხორციელდა. გარდა ამისა, 9 აპრილის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადები და სადარბაზოები მოწესრიგდა.

მუნიციპალიტეტის მერმა მდინარე ფოცხოვზე ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩის მიმდებარედ და ქალაქ ვალეში სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ისაუბრა.

ასევე, საბჭოს წევრები გაეცნენ წყალმომარაგების სისტემების მასშტაბურ სარეაბილიტაციო პროექტებს. მიმდინარე წელს დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა სოფლებში ურაველსა და მუგარეთში ხოლო ამ დროისთვის, სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა მიმდინარეობს სოფელ აწყურში.

ახალი გარე განათების სისტემები მოეწყო ქალაქ ვალეში და მუნიციპალიტეტის 14 სოფელში, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში

განხორციელდა, მერის თქმით გარე განათებების მოწყობა მომავალ წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

საუბარი შეეხო მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს ქალაქ ახალციხეს კიდევ ერთი ახალი, №7 საბავშვო ბაღი შეემატა. რუსთაველის ქუჩა №124-ში ახალი, თანამედროვე სტანდარტების მქონე საბავშვო ბაღი აშენდა, რომელიც 180 აღსაზრდელზეა გათვლილი, პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა. გარდა ამისა, №6 საბავშვო ბაღში მოეწყო ახალი ღობე და ბავშვთა გასართობი მოედანი.

დასრულდა ტურისტული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ახალციხის ხელოვნური ტბის მიმდებარედ, პროექტის ფარგლებში მოეწყო კალათბურთის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის მოედნები, საფეხმავლო და ველობილიკები, დასასვენებელი და საბავშვო- გასართობი სივრცეები. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ახალციხელებისა და დამსვენებლებისთვის ტბაზე გასეირნება და დასვენება უფრო სასიამოვნო და საინტერესოა.

რუსთაველის ქ. №124-ში, მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, ნაწილი კი აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ტერიტორიაზე ახალგაზრდული ცენტრისთვის მოეწყო 2 სართულიანი და 3 სართულიანი შენობები, დასრულების ეტაპზეა სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციაც, გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, მოეწყო გზა და მიმდინარეობს დასასვენებელი სკვერის რეაბილიტაცია.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის 46 დასახლებაში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შორის არის: შიდა გზები, გარე განათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, სკვერები და სხვა.

მიმდინარე წელს პრიორიტეტად რჩება სპორტული ინფრასტრუქტურისა და დასასვენებელი სივრცეების რეაბილიტაცია-მშენებლობა. სოფელ ხეოთში ახალი სპორტული მოედანი, ქალაქ ახალციხეში ზარზმელის ქუჩაზე სკვერი და საბავშვო გასართობი სივრცე, ხოლო ივანე ახალციხელის ქუჩაზე საბავშვო და სპორტული მოედნები მოეწყო. რაც შეეხება მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს ქ. ახალციხეში, 9 აპრილის ქუჩაზე მიმდინარეობს სკვერის რეაბილიტაცია, სოფელ ზიკილიაში სკვერი და სპორტული მოედანი, ხოლო სოფელ სხვილისში სპორტული მოედანი ეწყობა. ქალაქ ახალციხეში, რუსთაველისა და ტაბიძის ქუჩებზე კი სპორტული მოედნების მშენებლობის უზრუნველსაყოფად სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს.

მერმა ისაუბრა გამწვანების ღონისძიებებზეც, მისი თქმით სხვადასხვა სახეობის ახალი ნარგავებით შეივსო ქალაქის რეკრეაციული ზონები და მთავარია მომავალში მათი შენარჩუნება, როგორც შესაბამისი სამსახურების მხრიდან მოვლა-პატრონობით, ისე მოსახლეობის მხრიდან მათი გაფრთხილებით. აღნიშნა, რომ მერიის ინიციატივით ქალაქში მოეწყო საგზაო ნიშნები და მონიშვნებიც, შედეგად, გზებზე გადაადგილება მოქალაქეებისათვის უფრო კომფორტული და უსაფრთხო გახდა.

საბჭოს სხდომაზე პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე მასშტაბურ პროექტზეც იმსჯელეს, აღინიშნა რომ ურბანული განახლების სამუშაოები მიმდინარეობს თამარაშვილის, კოსტავას, ნათენაძის და კეცხოველის ქუჩებზე. მოეწყო ქალაქის ცენტრალური პარკი და სკვერები.

მერმა, საბჭოს წევრებს ახალი ა(ა)იპ-ის „ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტის“ შექმნისა და ამ მიმართულებით მერიის სამომავლო გეგმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ამ მიმართულებით დონორ ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობაზე გაკეთდა აქცენტი, მერის განცხადებით, მომავალი წლიდან მუნიციპალიტეტი დაიწყებს საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას და სატრანსპორტო საშუალებების შეძენას.

საბჭოს სხდომაზე ასევე მომავალი 2023 წლის გეგმები და ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პრიორიტეტებიც განიხილეს.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა გაწეული საქმიანობის ანგარიში მოიწონეს, გამოთქვეს მოსაზრებები და მერს თავიანთი ინიციატივები გააცნეს:

საბჭოს წევრი **ჯაბა ნათენაძე** ახალციხის ხელოვნური ტბის ტერიტორიაზე განხორციელებულ პროექტით და შესრულებული სამუშაოების ხარისხით დაინტერესდა, ამასთან აღნიშნა, რომ მოსახლეობის მხრიდან ხშირად ადგილი აქვს ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული დაზიანების ფაქტებს.

საბჭოს წევრებმა საზოგადოებრივი თვითშეგნების დეფიციტზე, მერიის მხრიდან სანქციების დაწესების აუცილებლობაზე და სათვალთვალო კამერების საშუალებით მსგავსი ვანდალური ფაქტების გამოვლენაზე გააკეთეს აქცენტი.

ჯაბა ნათენაძე, ასევე ქალაქ ვალისა და ქალაქ ახალციხის წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროექტებით და ქალაქ ახალციხეში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებით დაინტერესდა. როგორც, ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, ქალაქ ვალეში განხორციელებული პროექტის ექსპერტიზის შედეგად გარკვეული ხარვეზები იქნა გამოკვეთილი და მიმდინარეობს მათი გამოსწორება. რაც შეეხება ქალაქ ახალციხეს, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტი მზად არის და მალე დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. სპორტული კომპლექსის მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა რომ, ახალი ტენდერი დასრულებულია და მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცედურა.

საბჭოს წევრმა **გურამ ჯინჭველაძემ** სკვერების, სპორტულ მოედნების თუ აუზების სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, ასევე ელექტრო ბოძებისა და გარე განათების სისტემების მოწყობის დროს უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვაზე ისაუბრა. მან ასევე ახალგაზრდებთან შეხვედრაზე გამოკვეთილი საჭიროებების და მათი იდეების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, მათ შორის ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის მოგვარების აუცილებლობას.

გურამ ჯინჭველაძე რაბათის დასახლებაში არსებული ხელოვნური ტყის რეკრეაციულ ზონად გამოცხადების ინიციატივითაც გამოვიდა, რამაც საბჭოს სხვა წევრების მხრიდან დადებითი შეფასება დაიმსახურა.

საბჭოს წევრის **ბელა ავალიშვილის** თქმით, რაბათის ხელოვნური ტყის მოვლა და შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის და კარგი იქნება, თუ იგი რეკრეაციულ სივრცედ და დასასვენებელ ადგილად გადაიქცევა.

საბჭოს წევრმა **მანუჩარ გოგოლაურმა** დადებითად შეაფასა ქალაქში მიმდინარე მასშტაბური პროექტები, მათ შორის პროგრამა „განახლებული რეგიონების" ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები, ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია და აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ პარკში არსებული კერძო ობიექტები მომავალში, დასასვენებელი პარკისათვის შესაბამის პროფილს შეიძენენ.

საბჭოს წევრმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა შვილებს" **ხელმძღვანელმა, მაია გაჩეჩილაძემ**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. მისი თქმით, შშმ პირთა საკვირაო ცენტრის ბენეფიციარების ექსკურსია მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო ტრანსპორტით. ცენტრმა, ასევე მერიის მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღო ქალაქ ახალციხეში გამართულ „პურის ფესტივალში", სადაც მათი ნამუშევრები იყო წარმოდგენილი და საკმაოდ დიდი რაოდენობა გაიყიდა, რაც დამატებითი სტიმული და წამახალისებელი იყო შშმ ბენეფიციარებისათვის. მაია გაჩეჩილაძემ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს ფართის ან ჯიხურის გამოყოფის თხოვნით მიმართა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თავიანთი ნამუშევრების რეალიზაციას მოახდენენ.

საბჭოს წევრმა **აშოტ კარაპეტიანმა** ქალაქში მიმდინარე პროექტებზე გაამახვილა ყურადღება, ასევე საჯარო სკოლებთან საგზაო მოძრაობის რეგულირებაზე, მათ შორის მე-2 საჯარო სკოლასთან შუქნიშნის მოწყობის აუცილებლობაზე ისაუბრა.

საბჭოს წევრმა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრის" ხელმძღვანელმა **ნუგზარ თათეშვილმა** დადებითად შეაფასა პროგრამა „განახლებული რეგიონების" ფარგლებში, ქალაქ ახალციხეში, ცენტრალურ ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოები. მისი თქმით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო პროექტი, სადაც გათვალისწინებულია დღეისათვის უმნიშვნელოვანესი და აქტუალური - ენერგოეფექტურობის კომპონენტი.

მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა აღნიშნული პროგრამის დეტალებზე და სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებზე, პროექტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე. მისივე თქმით, სამუშაოების დასრულების შემდეგ ქალაქის ცენტრალური ქუჩები იქნება ბევრად უფრო ლამაზი და მიმზიდველი, როგორც ადგილობრივებისათვის, ისე ტურისტებისთვის.

საბჭოს წევრმა **ალექსანდრე ლომსაძემ,** ქალაქ ახალციხეში თაყაიშვილის ქუჩაზე ღია სანიაღვრე არხის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, აღნიშნა რომ სასურველია არხი დაიხუროს ლითონის ცხაურებით. მან ასევე, თაყაიშვილისა და ორბელიანის ქუჩების კვეთაზე მდებარე მშენებარე სახლში დანაგვიანებისა და ანტისანიტარიის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია მერიის წარმომადგენლებს. ამასთანავე აღნიშნა, რომ სახლი კერძო საკუთრებას წარმოადგენს, რომლის მეპატრონე ყურადღებას არ იჩენს პრობლემის მოსაგვარებლად და მაცხოვრებლებს გაუსაძლისი მდგომარეობა და სუნი აწუხებთ.

საბჭოს წევრი **შალვა ტაბატაძე**, ცენტრალურ პარკში სარწყავი სისტემით და ახალი ნარგავების მოვლის საკითხით დაინტერესდა, ისაუბრა პარკში ელექტრო გაყვანილობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სკოლებთან ავტოტრანსპორტის მოძრაობის რეგულირებაზე და მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველყოფაზე. ასევე, დაინტერესდა რა გეგმები აქვს მუნიციპალიტეტს სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

როგორც, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ცენტრალურ პარკში გასარწყავიანების პრობლემის მოგვარება, სრულად შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც ქალაქს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება, გარკვეული სახით აქ სარწყავი სისტემა არსებობს და შემდგომ მოხდება მისი დაერთება. რაც შეეხება პარკში ელექტროგაყვანილობის საკითხს, პროექტის ფარგლებში მოეწყო ახალი მიწისქვეშა ელექტრო სისტემა, სადაც მოხდება კერძო ობიექტების დაერთებაც და სამუშაოების დასრულების შემდეგ ცენტრალურ პარკში საჰაერო სადენები აღარ იქნება.

ირაკლი ლაზარაშვილმა, საბჭოს წევრებს მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მერიის ზოგადი ხედვა გააცნო. მისი თქმით, სასურველია შენობას, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, პირვანდელი სახე დაუბრუნდეს, მოეხსნეს მიშენებები და ორბელიანების სასახლის ვიზუალი მიეცეს, სადაც კულტურისა და ხელოვნების ცენტრი და საგამოფენო სივრცეები მოეწყობა. თუმცა ეს საკითხი საზოგადოების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს და გადაწყვეტილებაც შესაბამისად იქნას მიღებული.

საბჭოს წევრმა **ვასილ კვინცხაძემ** დადებითად შეაფასა, მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ეტაპობრივად მოგვარების მიზნით მერიის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები, ისაუბრა ცენტრალურ პარკში ახალი მწვანე ნარგავების მოვლაზე და მათ შენარჩუნებაზე, ყოველდღიურად პარკის მიმდებარედ მდგარი „ლიბერთი ბანკის“ მანქანისათვის ალტერნატიული ადგილის შეთავაზებაზე, რადგან მოქალაქეებს პარკში დასვენების დროს დისკომფორტი ექმნებათ. გაამახვილა ყურადღება რუსთაველის ქუჩაზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების დაგვა-დასუფთავებაზე, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კოლეჯის მოსწავლეებისათვის ტრანსპორტის საფასურის შეღავათის დაწესებაზე.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს წევრების უმრავლესობის მხრიდან წამოყენებული იქნა იდეა, მუნიციპალური ტრანსპორტის ამოქმედების შემდეგ მოსწავლეებს, სტუდენტებს, პენსიონერებს, ვეტერანებს და სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს გაეწიოთ მგზავრობის ღირებულების შეღავათი.

„მრჩეველთა საბჭოს“ სხდომის დასასრულს მერმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს აქტიურობისა და თანამშრომლობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებზე აქტიური მსჯელობისა და წარმოდგენილი ინიციატივებისათვის.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნუგზარი თათეშვილი _____

2 ცირა მესხიშვილი _____

3 ამალია სარქისიან _____

4 ნინო რუხაძე _____

5 ბელა ავალიშვილი _____

6 ომარი ჯაყელი _____

7 ნონა ონიანი _____

8 აშოთ კავალერიან _____

9 გურამი ჯინჭველაძე _____

10 მაია გაჩეჩილაძე _____

11 ბიჭიკო მოდებაძე _____

12 ჯაბა ნათენაძე _____

13 გიორგი ბუცხრიკიძე _____

14 მერაბი ბერიძე _____

15 მაკა ბერიძე _____

16 შალვა ტაბატაძე _____

17 ნიკოლოზ ხიზაძე _____

18 ციური ლაფაჩი _____

19 ვასილი კვინცხაძე _____

20 თამარ კაპანაძე _____

21 ალექსანდრე ლომსაძე _____

22 ნინო ხაზალაშვილი _____

23 მანუჩარ გოგოლაური _____

24 რომან მაისურაძე _____

25 ნათია ტაბლიაშვილი _____

26 ნატალი სისვაძე _____

27 მეგი თათეშვილი _____